საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01/50

ქ. ბათუმი 17 სექტემბერი, 2021 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, 32-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 6 სექტემბრის №06-01/93 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, დანართი 1-ში (წესში) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

ა) წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საკონკურსო მასალები კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ (აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემთხვევაში) შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას). კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაციიდან ნაწილი (უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტები) ინახება დასაქმებულის პირად საქმეში, ხოლო სხვა დოკუმენტაცია დასაქმებულის მიერ შესაძლებელია გატანილი იქნეს 1 თვის შემდეგ.“;

ბ) წესის მე-8 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ობიექტური გარემოების (ქვეყანაში/რეგიონში შექმნილი ეპიდვითარება ან/და სხვა) გათვალისწინებით

შესაძლებელია დასაშვები გახდეს:

ა) **საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის** მხოლოდ ელექტრონულად წარმოდგენა, იმ პირობით, რომ კონკურსში გამარჯვებულმა კონკურსანტმა მატერიალური სახით უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე ამ წესის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

ბ) კონკურსანტის მიერ განცხადების/**საჩივრის** საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე/მომჩივანზე ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) **საკონკურსო კომისიამ** კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) საკონკურსო კომისიამ დაადგინოს მ**უშაობის** ან/და **კონკურსანტებთან გასაუბრების** დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) **სააპელაციო კომისიამ** დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.“

2. წინამდებარე გადაწყვეტილება (ასევე შეტანილი ცვლილებებით კონსოლიდირებული ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილება) განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. გადაწყვეტილება დაეგზავნოს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**